

ბიულეტენი #3

# საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

## მართე შენი ქალაქი

მექანიზმები ქალაქის  
სამართავად



### საკრებულოს კომისიებში მოქალაქეების მონაწილეობა

ადგილობრივი თვითმართველობის საკრებულოს კომისიების სხდომებზე მოქალაქეებს დასწრების და პოზიციის დაფიქსირების უფლებას თვითმართველობის რეგლამენტი ანიჭებს. ეს უფლება, მოქალაქეების სხვადასხვა საკითხებში ჩართულობისა და მათი ინიციატივების გააუმჯობესების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

#### რას ნიშნავს საკრებულოს კომისიები?

თვითმართველი ორგანოს საკრებულოები რამდენიმე კომისიად იყოფა. საკრებულოს წევრები, სხვადასხვა თემატურ კომისიებში არიან გადანაწილებულნი და ფუნქციების შესაბამისად იმ საკითხებზე მუშაობენ, რომელიც კომისიის ფუნქციებში შედის.

## საკრებულოში არსებობს 5 კომისია.

1. განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია
2. ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია
3. საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია
4. ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია
5. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

კომისიებში განიხილავენ საკითხებს, რომელიც შემდეგ დასამტკიცებლად საკრებულოს სხდომაზე გადის. ამიტომ მნიშვნელოვანია საკითხით დაინტერესებული მოქალაქეები კომისიის სხდომებს დაესწრონ, სადაც ეს საკითხი განიხილება. რადგან, მათ საშუალება ეძლევათ, საკითხის გადაწყვეტამდე, რომელიც შესაძლოა პირდაპირ ეხებოდეს მოქალაქეებს ან შედიოდეს მათ ინტერესებში, ჩაერთონ საკრებულოს წევრებთან დისკუსიაში, დასვან კითხვები და გამოთქვან მოსაზრებები.

აღსანიშნავია მიმდინარე წელს მოქალაქეთა აქტიურობა ქალაქ ბათუმის ბიუჯეტის განხილვის დროს. მოქალაქეებმა, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაზე კრიტიკული მოსაზრებები დააფიქსირეს ერთ-ერთი ფესტივალის ჩატარებაზე, რომელისთვისაც მერიამ 60 000 ლარი გაითვალისწინა. ჩატარებული ფესტივალის შედეგები არ იყო ეფექტური და არ ემსახურებოდა კინოხელოვნების განვითარებას, მიიჩნიეს მოქალაქეებმა. ამიტომ, კომისიის სხდომაზე დამსწრე მოქალაქეები ითხოვდნენ ამ საკითხის ხელახლა შესწავლას ან დაფინანსების შეწყვეტას. მოქალაქეებმა კითხვები დასვეს და მასზე არგუმენტირებული პასუხები მოითხოვეს, რამაც საკრებულოს კომისიის წევრებში კითხვები გააჩინა. საბოლოოდ საკითხი შესასწავლად მერიას დაუბრუნდა.

ასეთი კითხვები შეიძლება იყოს კომისიებში, სადაც ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა თუ გამწვანების საკითხებს განიხილავენ, ამიტომ რეგლამენტით გათვალისწინებული მოქალაქეების დასწრების და დისკუსიაში

ჩართვის უფლება კარგი საშუალებაა თავად მოქალაქემ აკონტროლოს ან უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ცვლილებები თავის ქალაქში.

**როგორც აღინიშნა, მოქალაქეს შეუძლია კომისიების მუშაობაში მონაწილეობა და ამას საკრებულოს რეგლამენტის 99 მუხლი განსაზღვრავს, დასაც წერია:**

ნებისმიერ პირს უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის ღია სხდომებს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ამ სხდომებზე დამსწრე პირს წინასწარი ნებართვის გარეშე და მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით აქვს უფლება სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობის დაცვით დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან. გააკეთოს განმარტება, განცხადება, ინფორმაცია ან მიმართვა.

თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელს უფლება აქვს გამოვიდეს მომხსენებლად ან თანამომხსენებლად, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე საკითხის განხილვის დებატებში. ამ უფლების გამოსაყენებლად თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელი ვალდებულია სხდომამდე 2 დღით ადრე მაინც წერილობით მიმართოს საკრებულოს აპარატს.

**ბათუმის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო საბჭოს აქტივობები**



## "შენი ხმა საბჭოში" - ახალგაზრდები ქალაქისთვის

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალმა „მართ შენი ქალაქის“ ფარგლებში ახალგაზრდა მონაწილეებთან და საზოგადოებრივი დარბაზის წევრებთან ერთად ოქტომბერ-ნოემბერში ბათუმის 13 ტერიტორიულ უბანში ჩაატარა ღია შეხვედრები „შენი ხმა საბჭოში“.

პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულები ახალგაზრდები. ღია შეხვედრების გარდა, ახალგაზრდები ონლაინ რეჟიმში იღებდნენ სხვადასხვა უბნიდან მოქალაქეების ინიციატივებს და იდეებს. ამ მასალების დამუშავების შედეგად, 26 ნოემბერს, "თავისუფალ სივრცეში" ინიციატივების პრეზენტაცია გაიმართა. შედგა ერთგვარი ქალაქის რუკა, რომელზეც აღნიშნული იყო ის პრიორიტეტები, რაც მუშაობის შედეგად სხვადასხვა უბანში გამოვლინდა.

პრეზენტაციაზე მოწვეულები იყვნენ მოქალაქეები, ბათუმის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო საბჭოსა და ქ.ბათუმის მერიასთან არსებული სამოქალაქო საბჭოს წევრებიც.

მოსახლეობის აქტივობის შედეგად შემდგარი რუკა ასე გამოიყურება:

1. მწვანე კონცხი - საპირფარეშოების მოწყობა
2. თამარის დასახლება - რკინიგზის სადგურისა და ზღვაზე გადასასვლელი ბილიკების მოწყობა
3. ბონი-გოროდოკი - სკვერის გაკეთება და მწვანე ნარგავების დარგვა
4. აღმაშენებლის უბანი - სპორტის სასახლის განთავსება
5. კახაბერი - შიდა გზების რეაბილიტაცია -მოწყობა
6. სამრეწველო უბანი - სპორტული და სახელოვნებო ღონისძიებების მოწყობა
7. გონიო-კვარიათი - სპორტული მოედნებისა და დარბაზების გახსნა
8. აეროპორტის ტერიტორია - გამწმენდი ნაგებობებისთვის ფილტრების დაყენება
9. ბაგრატიონი - ახალგაზრდული ღონისძიებები
10. ჯავახიშვილის უბანი - 21 საბავში ბალის გახსნა მშენებლობა
11. ძველი ბათუმი - ერთ-ერთი ქუჩისთვის საფეხმავლოს სტატუსის მინიჭება
12. რუსთაველის უბანი - ახალგაზრდების გააქტიურება და ფესტივალების ორგანიზება
13. ხიმშიაშვილის უბანი - სკვერების მოწყობა და მისამართების დაზუსტება კონკრეტულ ტერიტორიებზე

ინიციატივების რუქა გადაეგზავნა ბათუმის მერიასა და საკრებულოსთან არსებულ სამოქალაქო საბჭოში.

## ინიციატივების რუკა

### ფოტო პრეზენტაციიდან





ბოლო სამი თვის განმავლობაში, საბჭოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები ჯერ ბათუმის ბიუჯეტის პრიორიტეტების განხილვაში, შემდეგ კი ბიუჯეტის განხილვაში.



ბათუმის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო საბჭოს წევრები აქტიურად ესწრებოდნენ ბათუმის საკრებულოს კომისიებში ბიუჯეტის განხილვას, ჰქონდათ მოსაზრებები და შენიშვნები.

საბოლოოდ, სამოქალაქო საბჭოს სპიკერმა, არსებული შენიშვნები და რეკომენდაციები გააერთიანა და გადაუგზავნა ბათუმის საკრებულოს შენიშვნების სახით.

სამოქალაქო საბჭოს შენიშვნები თითქმის ყველა სფეროს ეხებოდა:

### **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის პროგრამა ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა ქალაქისთვის. მიუხედავად იმისა რომ 2017 წლის ბიუჯეტში ამ კუთხით საკმაოდ დიდი თანხაა დაგეგმილი აუცილებელია მის გაზრდა. ჩვენი შეხვედრებიდან გამოიკვეთა შემდეგი ქუჩები რომლებიც სასწრაფოდ საჭიროებენ: რეაბილიტაცია და მოვლა პატრონობას: კახაბერის უბანი - გოდერძი ჩოხელის ქუჩა; სამრეწველო უბანი - ოპიზარების ქუჩა; გონიო კვარიათის უბანი - მირიან მეფის და აფსაროსის ქუჩის 1-2 შესახვევები; აეროპორტის უბანი - სერგი მესხის ქუჩა ჯავახიშვილის უბანი - სარაჯიშვილის ჩიხი.

### **ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება**

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ქალაქის მართლაც უპირველესი პრიორიტეტია, ერთი სკვერის მშენებლობა წლის განმავლობაში არ არის საკმარისი ქალაქისთვის, გამოვკვეთ რამოდენიმე უბანს სადაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სკვერის მოწყობა: ბონი-გოროდოვის სამრეწველო და კახაბერი

უბანები. აქვე აღვნიშნავთ რომ ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია ბათუმის ბულვარისთვის გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერა და საჭიროებს დეტალიზაციას და გაუმჯობესებას.

### **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი**

ა(ა)იპ ბათუმის კორპუსი უკვე წლებია ახორციელებს საბინაო მეურნეობის განვითარების მხარდაჭერას, თუმცა სამწუხაროდ ბინათმესაკუთრეთა მხრიდან ნაკლებად არის აღნიშნულ ღონისძიების მხარდაჭერა და გაფრთხილება უკვე განხორციელებული საქმიანობის მხრიდან. ვფიქრობთ ბათუმის კორპუსმა უნდა შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა სადაც გაწერილი იქნა ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსების სისტემის შემცირება და ასევე მათი დამოუკიდებლობის მექანიზმების დანერგვა. წარმოდგენილი ბიუჯეტის პროგრამაში შესაძლებელია შემცირდეს თანადაფინანსების სისტემა. ასევე მნიშვნელოვანია მრავალსართულიანი სახლების ენერგოეფექტურობის და ადაპტირებული საცხოვრისის პროგრამებზე მუშაობის დაწყება და საწყის ეტაპზე მოკვლევითი და პროგრამის შესამუშავებელი თანხების გათვალისწინება.

### **ქალაქის დაგეგმარება**

ქალაქისთვის აუცილებელია საზოგადოებრივი საპირფარეშოებით უზრუნველყოფა. ამ კუთხით გამოცდილებამ აჩვენა რომ უნდა მოხდეს ადგილების განსასაზღვრად მონაწილეობითი დაგეგმარების განხორციელება და ასევე შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შერჩევა. ასევე აღსანიშნავია, რომ ძველი ბათუმის თუ ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის კუთხით არ არის ფინანსური რესურსი გამოყოფილი. მაშინ როცა 2015-2016 წლებში Geographic-ის მიერ მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია, სადაც არაერთი ძველი საჭიროებს მხარდაჭერას. ჩვენ გვესმის, რომ მუნიციპალიტეტისთვის ეს უფლებამოსილება წარმოადგენს ახალ უფლებამოსილებას, ასევე საკმაოდ დიდ თანხებთან არის



დაკავშირებული ძეგლის რეაბილიტაცია, თუმცა ვფიქრობ ქალაქმა უნდა იფიქროს ამ ჭრილში და შექმნას ჯანსაღის პოლიტიკა კულტურული მემკვიდრეობის/ძველი ბათუმის გადარჩენისთვის. ამ კუთხით პირველ რიგში საჭიროა ინსტიტუციის/სისტემის შექმნა რომელის ძირითადი მიმართულება იქნება ქალქში არსებული ძეგლებზე ზრუნვა , მოვლა და შენახვა

### **სკოლამდელი აღზრდა და განათლება**

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია წარმოადგენს თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და ქალაქიც ამ ჭრილში განიცდის დეფიციტს. რეკომენდირებულია ამ მხრივ მოხდეს თანხების დამატება და უბნების მიხედვით ბაღების დამატება, გამოვყოფდით: ჯავახიშვილის, რუსთაველის და თამარის უბანს.

სამოქალაქო საბჭოს შენიშვნები ქონდა სპორტისა და კულტურის პრიორიტეტებთან დაკავშირებითაც. საბჭოს წევრები მიიჩნევდნენ, რომ კულტურული ღონისძიებების შედეგების დათვლა შეუძლებელია.



**სიახლეები ბათუმის საკრებულოსთან არსებული  
სამოქალაქო საბჭოს საქმიანობაში**

სამოქალაქო  
პროცესების  
საბჭო



## საკრებულოსთან არსებული მრჩეველთა საბჭოს სხდომების განრიგი და საკითხები

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის სამოქალაქო საბჭოს სხდომები ტარდება ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს, 16:00 საათზე, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში (ბათუმი, ფარნავაზ მეფის 62/64). შესაბამისად, მომდევნო სხდომები ჩანიშნულია:

**7 დეკემბერი** - "შენი ხმა საბჭოში" ახალგაზრდების ინიციატივების რუკის განხილვა;

**12 იანვარი (შენიშვნა: სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, შეიცვალოს შეხვედრის თარიღი და მომდევნო თვის პირველი ოთხშაბათის ნაცვლად, შეხვედრა გაიმართოს შემდეგი კვირის ოთხშაბათს)** - ქ. ბათუმის 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამების განხილვა. ანალიზი, ბათუმის მერიამ სამოქალაქო საბჭოს რა რეკომენდაციები გაითვალისწინეს და რა არა;

**1- თებერვალი** - ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოჭრის რეგულაციების შემოღება - რეკომენდაციები

ბათუმის მერიას.

ბათუმის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა ღიაა და ნებისმიერ თქვენგანს შეგიძლიათ დაესწროთ მას და წარადგინოთ თქვენი წინადადებები.

## თქვენ გაქვთ უფლება

- ვინაობის მითითებით ან მის გარეშე საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიას, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფს, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრება მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხებთან დაკავშირებით.

**პროექტი ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) ბათუმის ფილიალის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. ელექტრონული ბიულეტენი დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.**



საკრებულოსთან  
არსებული სამოქალაქო  
მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი, საქართველო

info@Marte.ge

Marte.ge



თქვენ მიიღეთ ეს ელ-ფოსტა, იმიტომ რომ ხართ  
გამომწერთა სიაში. გამოწერების გასაუქმებლად  
დააკლიკეთ ქვემოთ

[გამოწერების გაუქმება](#)